საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 154/2

2023 წლის 08 აგვისტო ქ. თბილისი

2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში

სტუდენტთა გარე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების

განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-9 მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56–ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობა სსიპ - განათლების

მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად აისახოს: 2023 წლის 3 აგვისტოდან 11 აგვისტოს ჩათვლით.

2. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა რეგისტრაცია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე - https://students.emis.ge - 2023 წლის 21 აგვისტოდან 7 სექტემბრის 18.00 საათამდე.

3. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე მობილობის წესით საშემსრულებლო-შემოქმედებით მიმართულებებზე გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა, შემოქმედებითი ტურების/გამოცდის გასავლელად, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე - www.tafu.edu.ge - რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2023 წლის 17 აგვისტოს 12:00 საათიდან 27 აგვისტოს 18:00 საათამდე. რეგისტრაციის დროს ატვირთულ უნდა იქნას შემოქმედებით ტურში მონაწილეობის საფასურის გადახდის ქვითარი.

4. მობილობის მსურველთა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურებისა (საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიმართულება) და საუნივერსიტეტო გამოცდების ჩატარების ვადად განისაზღვროს 2023 წლის 29 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით; შემოქმედებითი კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების ვადა - 4 სექტემბერი.

5. შემოქმედებითი ტურების წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტის დარეგისტრირების ვადა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე (students.emis.ge) განსაზღვრულია 7 სექტემბრის 18:00 - სთ-მდე. გადმოსვლის უფლებამოპოვებული სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.tafu.edu.ge სასურველი საბაკალავრო პროგრამის ონლაინ განაცხადის შევსების და მოთხოვნილი დოკუმენტაციის ატვირთვის ვადად განისაზღვროს 2023 წლის 11-13 სექტემბერი.

6. სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე მობილობის მსურველთათვის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე (students.emis.ge) დარეგისტრირების ვადად განსაზღვრულია 21 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი; გადმოსვლის უფლებამოპოვებული სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.tafu.edu.ge სასურველი საბაკალავრო პროგრამის

ონლაინ განაცხადის შევსების და მოთხოვნილი დოკუმენტაციის ატვირთვის ვადად განისაზღვროს 2023 წლის 11-13 სექტემბერი.

7. კრედიტების აღიარების კომისიების მიერ მობილობის მსურველთა საბუთების განხილვისა და საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარების, აღიარებული კრედიტების რაოდენობის გაცნობის და წერილობითი თანხმობის დადასტურების ვადად განისაზღვროს 2023 წლის 14-15 სექტემბერი.

8. გარე მობილობის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების ვადად განისაზღვროს 2023 წლის 14-15 სექტემბერი.

9. გარე მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის შედგენის ვადად განისაზღვროს - 2023 წლის 18 სექტემბერი.

10. გარე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ, რექტორის ბრძანების პროექტის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვის ვადა: 2023 წლის 12 სექტემბრიდან - 2023 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით.

11. „საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამაზე მობილობისთვის შემოქმედებით ტურში მონაწილეობის საფასური ერთ კონკრეტულ სპეციალობაზე შეადგენს 40 ლარს, ხოლო ერთზე მეტი სპეციალობის არჩევის შემთხვევაში, თითოეულზე ემატება 10 ლარი. აპელაციის საფასური - 30 ლარი.

12. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურებს.

13. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს კადრების და კანცელარიის სამსახურს.

14. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ჩარიცხვების რეესტრში ასახვა დაევალოს რეესტრის წარმოებაზე და მობილობაზე პასუხისმგებელ პირს.

15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ბრძანება MES 3 23 00001.1/86 – 28.06.2023 წ. „2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“

გიორგი შალუტაშვილი
რ ე ქ ტ ო რ ი